

ფარმაკოგნოზისა და ბოტანიკის მიმართულება



დავით ჭინჭარაძე
პროფესორი, ფარმაკოგნოზისა და ბოტანიკის
მიმართულების ხელმძღვანელი



დალი ბერაშვილი
პროფესორი



მალბაზ ჯობაძე
ასოცირებული პროფესორი



ლაშა მსხილაძე
ასოცირებული პროფესორი



ანა ზოჟაძე
ასისტენტ-პროფესორი



სოფიო გოჭაძე
ასისტენტ-პროფესორი



ფარმაკოგნოზისა და ბოტანიკის მიმართულება

ფარმაკოგნოზისა და ბოტანიკის მიმართულება, სახელწოდებით - “ფარმაციისა და ფარმაკოგნოზის კათედრა” დაარსდა 1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ბაზაზე შექმნილ ფარმაცევტულ განყოფილებაში. მისი პირველი ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე (1921-1925). 1926 წლიდან ფარმაკოგნოზის კათედრა დამოუკიდებელი ერთეული გახდა, რომელსაც ფარმაცევტული და სამედიცინო ინსტიტუტების დაქვემდებარებაში ხელმძღვანელობდნენ პროფესორი ედვარდ აბოლი (1926-1952), პროფესორი ვალერიან შოთაძე (1952-1962), პროფესორი ლინა ერისთავი (1962-1997), პროფესორი ჯუმბერ კუჭუხიძე (1997-2012).

2012 წლიდან ფარმაკოგნოზისა და ბოტანიკის მიმართულებას ხელმძღვანელობს პროფესორი დავით ჭინჭარაძე.

ფარმაკოგნოზის კათედრაზე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები და პედაგოგები: ფარმაციის მაგისტრი კ. ბახტაძე, პროფ. ზ. ყანჩაველი, აკად. დ. სოსნოვსკი, პროფ. თ. კეზელი, დოც. ბ. ბაქრაძე, დოც. თ. კაჩუხაშვილი, დოც. დ. კავკასიძე-ვირსალაძე, უფრ. მასწ. ნ. გავაშელი, დოც. ლ. კვიციანიშვილი და სხვ.

2006 წელს ფარმაკოგნოზის კათედრას ეწოდა ფარმაკოგნოზის დეპარტამენტი, 2009 წლიდან - ფარმაკოგნოზისა და ბოტანიკის დეპარტამენტი, ხოლო 2016 წლიდან ფარმაკოგნოზისა და ბოტანიკის მიმართულება.

მიმართულებაზე სასწავლო პროცესთან ერთად წარმატებით მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები. მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულება იყო და ამჟამადაც რჩება საქართველოს ფლორის მცენარეთა ძიება ახალი სამკურნალწამლო საშუალებების შექმნის მიზნით.